საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-40

21/01/2020

ქ. თბილისი

შპს „მეტალ გრუპზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების
შპს „მეტალზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 14 იანვარს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „მეტალ გრუპმა“ და შპს „მეტალმა“. შპს „მეტალ გრუპმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „მეტალზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „მეტალ გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (ინერტული მასალების წარმოება და მანგანუმის დაჟანგული მადნის გამდიდრება) გაცემულია №54 (29.11.1999) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-20 (10.01.2020) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მეტალ გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (ინერტული მასალების წარმოება და მანგანუმის დაჟანგული მადნის გამდიდრება) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „მეტალს“;
2. შპს „მეტალმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 10 იანვრის №2-20 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მეტალს“ და შპს „მეტალ გრუპს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მეტალისა“ და შპს „მეტალ გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი